სამუშაო კმაყოფილებისა და თანამშრომელთა განვითარების გავლენა პერსონალის მოტივაციაზე საქართველოს საბანკო სექტორში

ანა პაპუაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ბრეკაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო როგორც სიმულაციური ნაშრომი კვლევის მეთოდების (თებერვალი, 2021წელი) და აკადემიური წერის (მეორე კურსი) კურსებზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში(თებერვალი, 2021წელი)“

ანა პაპუაშვილი,

03/07/2021

აბსტრაქტი

მოტივაცია არის ის მთავარი ფაქტორი რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციის სტრუქტურაზე და განსაზღვრავს თანამშრომელთა ქმედებებს. რაც უფრო კმაყოფილია თანამშრომელი სამუშაოთი მით უფრო მოტივირებულია. ეს მოსაზრება ფართოდ არის გავრცელებული და სწორედ ამ მოსაზრების გადამოწმებას ახდენს ეს კვლევა.

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება პერსონალის მოტივაციის კვლევას. იკვლევს სამუშაოთი კმაყოფილებისა და თანამშრომელთა განვითარების გავლენას პერსონალის მოტივაციაზე, საქართველოს საბანკო სექტორის მაგალითზე.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა უკვე არსებული კვლევები პერსონალის მოტივაციასთან დაკავშირებით. ასევე ჩატარდა პირველადი კვლევა, რომლის ფარგლებშიც შემთხვევითი შერჩევით გამოიკითხა საბანკო სექტორში როგორც მენეჯერულ ისე არამენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული 120 ადამიანი. ნაშრომში განხილულმა კვლევებმა დაადასტურეს საკვლევი ჰიპოთეზა- სამუშაოთი კმაყოფილებასა და თანამშრომლის განვითარებას პოზიტიური კავშირი აქვს პერსონალის მოტივაციაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამუშაოთი კმაყოფილება, თანამშრომელთა განვითარება, პერსონალის მოტივაცია, საქართველოს საბანკო სექტორი.

Abstract

Motivation is the main factor that has a significant impact on the structure of the organization and determines the actions of employees. The more satisfied the employee is with the job the more motivated he is. This view is widespread, and this paper is going to confirm it.

The presented paper refers to the study of staff motivation. It researches the impact of job satisfaction and employee development on staff motivation, on the example of the Georgian banking sector.

Existing studies on staff motivation were used in the study. A primary survey was also conducted, in which 120 employee in the banking sector, both employed in managerial and non-managerial positions, were randomly selected. The studies reviewed in the paper confirmed the research hypothesis- Job satisfaction and employee development have a positive relationship with staff motivation.

Key words: job satisfaction, Employee development, staff motivation, Georgian banking sector.